## უცხოური ენების კათედრა

**I თავი. ზოგადი დებულება**

**1.1 უცხოური ენის კათედრა თავის საქმიანობას წარმართავს ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესისა და ამ დებულების შესაბამისად.**

**1.2 მოქმედების არეალი**

**სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N1 საჯარო სკოლა**

**II თავი. კათედრის დებულების დამტკიცება**

**2.1 კათედრის დებულებას შეიმუშავებენ კათედრის წევრები თავმჯდომარესთან ერთად, ათანხმებენ დირექცისთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო სხდომაზე.**

**2.2 აღნიშნული დებულება ძალაშია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებისთანავე.**

**III თავი. კათედრის მიზნები და ამოცანები**

**3.1 კათდრის მისია.**

**უცხოური ენის კათედრა ზრუნავს მოსწავლეთა სწავლება/სწავლის პროცესის ხარისხის ამღლებასა და მათი მიღწევების გაუმჯობესებაზე, თანამედროვე პედაგოგიური მეთოდოლოგიისა და მიდგომების დანერგვის გზით.**

**3.2 კონკრეტული მიზნები და ამოცანები.**

- **სახელმძღვანელოების ეფექტურად შერჩევა;**
- **პედაგოგთა პროფესიული განვითარება;**
- **კვლევითი საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვა და განხორციელება;**
- **პედაგოგთა საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება;**
- **პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება;**
- **მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული საგნობრივი პროგრამებისა და შეფასების სისტემის შექმნა და დანერგვა.**

**IV თავი. კათდრის წევრობა**

**4.1 უცხო ენის კათედრა აერთიანებს საგნის (რუსული, ინგლისური, გერმანული) ყველა პედაგოგს. ისინი თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობენ კათედრის სხდომებზე.**

**4.2 კათედრა იკრიბება სემესტრში ორჯერ მაინც;**

**4.3 რიგგარეშე კათედრის სხდომის ჩატარება;**

**ა) საჭიროების შემთხცვევაში კათედრის თავმჯდომარის ან კათდრის წევრების 1/3 მოთხოვნისთანავე**

**ბ) სხდომის მოწვევის უზრუნველყოფა ევალება კათედრის თავმჯდომარეს.**

**4.4 კათედრის წევრების უფლება მოვალეობები**

**კათდრის წევრს უფლება აქვს:**

**ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს კათედრის თავმჯდომარედ;**

**ბ) კათედრის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ისარგებლოს ერთი ხმის უფლებით;**

**გ) შევიდეს ინიციატივებით სხდომაზე და განხილვაზე დააყენოს მისთვის საინტერესო საკითხი;**

**დ) მონაწილეობა მიიღოს საათების გადანაწილებაში;**

**ე) მონაწილეობა მიიღოს კათედრის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში;**

**კათედრის წევრი მოვალეა:**

**ა) დაესწროს კათედრის სხდომებს (თუ არ არსებობს გაცდენის ობიექტური მიზეზი)**

**ბ) მონაწილეობა მიიღოს სახელმძღვანელოების შერჩევაში;**

**გ) იზრუნოს კათედრის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის და ჯეროვნად შეასრულოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები;**

**დ) აქტიურად დანერგოს ინოვაციური მეთოდები და მიდგომები;**

**ე) იზრუნოს საკუთარი კათედრის წევრების პროფესიულ განვითარებაზე**

# შემაჯამებელი დავალებების ჩატარების განრიგი

I სემესტრი 2022-2023წწ

| № | საგანი/კლასი | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინგლისური ენა | | | | | | **29/10; 3/11; 20/12; 27 /12** | **17/11; 21/12** | **18/11; 16/12** | **15/11; 18 /11; 20/12;** | **17/11; 22/12;** | **17/11; 24/12;** | **3/11; 3 /12; 21/12;** |
| 2 | გერმანული ენა | | | | | | 08/11; 13/12; | 10/11; | 17/11; 24/12; | 10/11; 13/03; | 8/11; 20/12; | 17/11; 15/12 | 5/10; 26/11; 15/12; |

### შეფასების რუბრიკები

### პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

| | |
|---|---|
| პასუხობს თემას | 1 |
| ფლობს აუდიტორიას (იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას) | 2 |
| საუბრობს გამართულაი ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას | 2 |
| იყენებს განსხვავებულ წყაროებს | 2 |
| ადრებს მოვლენებს, ფაქტებს, საგნებს | 1 |
| იყენებს თვალსაჩინოებას | 1 |
| იცავს დროის ლიმიტს | 1 |

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

| | |
|---|---|
| მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს | 2 |
| მსჯელობს არგუმენტირებულად | 2 |
| აკეთებს დასკვნებს | 2 |

| | |
|---|---|
| იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალით,ჟესტებით, ხმით) | 2 |
| კორექტულია ოპონენტის მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს | 2 |

ინფორმაციის მოძიების შეფასების რუბრიკა

| | |
|---|---|
| მოძიებული მასალა შეესაბამება საკითხს/თემას | 3 |
| გამოყენებულია მრავალფეროვანი საიფორმაციო წყარო/საშუალება | 3 |
| მოპოვებული ინფორმაცია ორგანიზებულია | 4 |

დამოუკიდებელი სამუშაოს შეფასების რუბრიკა

| | |
|---|---|
| იცავს დროის ლიმიტს | 1 |
| კითხვებზე პასუხი ადექვატურია/ნაპოვნია პრობლემის გადაჭრის მართებული გზა | 3 |
| სიზუსტით აღწევს დასახულ მიზანს | 4 |
| იცავს წერის კულტურას | 2 |

წერითი საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა

| | |
|---|---|
| დავალებას წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში | 1 |
| დავალება სრულყოფილია | 3 |

| | |
|---|---|
| სიზუსტით აღწევს დასახულ მიზანს | 4 |
| იცავს წერის კულტურას | 2 |

ტექსტზე მუშაობის შეფასების რუბრიკა

| | |
|---|---|
| ტექსტში ახარისხებს ინფორმაციას | 2 |
| ამოიწერს/მონიშნავს და განმარტავს მთავარ სიტყვებს/ცნებებს | 3 |
| ტექსტის დასამუშავებლად და გასააზრებლად იყენებს სქემებს, დიაგრამბს, აზრობრივ რუკებს | 3 |
| მსჯელობს და აკეთებს შესაბამის დასკვნებს | 4 |

რეფერატის შეფასების რუბრიკა

| | |
|---|---|
| აყალიბებს ძირითად პრობლემას | 1 |
| საზღვრავს თემის მიზანს | 1 |
| მოიპოვებს და იყენებს დამხმარე მასალას/ ლიტერატურას/ილუსტრაციას | 2 |
| აფასებს სხვადასხვა წყაროში გადმოცემულ თვალსაზრისებს | 1 |
| გამოხატავს საკუთარ აზრს და ამყარებს არგუმენტებით | 2 |
| აკეთებს დასკვნას | 2 |
| წერს შესაბამის ფორმატში | 1 |

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

| | |
|---|---|
| ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია | 1 |
| ჯგუფის წევრები უსმენე ერთმანეთს | 2 |
| ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ (აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები) | 2 |
| ჯგუფი პრეზენტაციისას წარმოადგენს მთავარ იდეას, აკეთებს დასკვნებს | 2 |
| ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს | 2 |
| ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს | 1 |

შეფასების რუბრიკა ზეპირ კომუნიკაციაში

გაკვეთილზე ჩართულობის შეფასების რუბრიკა

| | არ შეუძლია<br><br>1–4 | ნაწილობრივ შეუძლია<br><br>5–7 | შეუძლია<br><br>9–10 |
|---|---|---|---|
| კომუნიკაციის კრიტერიუმები | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | საუბრობს დამუშავებულ თემაზე, აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად. | | | |
| 2 | კონკრეტულად გადმოსცემს ინფორმაციას | | | |
| | | | | |
| 3 | იყენებს ანალიზის ელემენტებს | | | |
| ენობრივი კრიტერიუმები | | | | |
| 4 | სწორად იყენებს შესწავლილ ლექსიკას. | | | |
| 5 | სწორად იყენებს გრამატიკულ კონსტრუქციებს | | | |
| 6 | წარმოთქმა ინტონაცია არის ზუსტი და არ უშლის ხელს აზრის გადმოცემას | | | |

**სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N1 საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის სხდომის**

**ოქმი №1**

ზესტაფონი, ქვედა საზანო 14 სექტემბერი 2022 სხდომის დაწყების დრო: 13 : 00 სთ

ხდომას ესწრებოდნენ:

1.სოფო ჭანტურიძე

2. ნადეჟდა ბუცხრიკიძე

3. თამარ ჩუბინიძე

4.ქრისტინა ვაშაკიძე

სხდომა გახსნა გერმანული ენის მასწავლებელმა თამარ ჩუბინიძემ

**დღის წესრიგი:**

1. კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
2. მასწავლებელთა საათების საორიენტაციო განაწილება;
3. გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევა/განხილვა.

**მომხრე -4**

**წინააღმდეგი -0**

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

**საკითხი N1. კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება**

**მომხსენებელი:** კათედრის თავმჯდომარე თამარ ჩუბინიძე

**მოისმინეს:** კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ კათედრა თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უნდა შეიკრიბოს სემესტრში მინიმუმ ორჯერ. კათედრის ეფექტურად მუშაობისათვის საჭიროა შემუშავებულ იქნეს კათედრის სამოქმედო გეგმა, რომლითაც განისაზღვრება კათედრის მიერ სასწავლო წლის

განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები და მათი განხორციელების პერიოდი. მან კათედრის წევრებს გააცნო 2022-2023 სასწავლო წლის კათედრის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია.

**აზრი გამოთქვა:** ქრისტინა ვაშაკიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა კათედრაში გაერთიანებულ ყველა პედაგოგს აძლევს შესაძლებლობას ეფექტურად წარმართოს თავისი საქმიანობა.

**სხდომის თავმჯდომარემ კათედრის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ კათედრის სამოქმედო გეგმისათვის წარმოდგენილი სახით.**

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 4**

**წინააღმდეგი: 0**

**კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:**

დამტკიცდეს უცხო ენების კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.

**საკითხი N2.** მასწავლებელთა საათების საორიენტაციო განაწილება;
**მომხსენებელი:** სსიპ ქვ.საზანოს # 1 საჯარო სკოლის უცხო ენების კათედრის თავმჯდომარე თამარ ჩუბინიძე

**მოისმინეს:** 2. უცხოური ენების კათედრის წევრებს შორის საათობრივი ბადის მიხედვით I და II უცხო ენების საათების განაწილება.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო პედაგოგებისათვის საათების სავარაუდო გადანაწილების გეგმა და მოუწოდა კათედრის წევრებს შენიშვნების შემთხვევაში დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი.

კათედრის წევრები გაეცნენ ამავე კათედრაში შემავალი მასწავლებლების სავარაუდო დატვირთვას და შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

უცხოური ენების კათედრის წევრებს შორის საათობრივი ბადის მიხედვით შესაძლებელია განაწილდეს I და II უცხო ენის საათები შემდეგნაირად:

**ნადეჟდა ბუცხრიკიძე-** რუსული ენა(არჩევითი საგანი)-XI -2; XII- 1; **სულ 3საათი.**

**სოფო ჭანტურიძე-**ინგლისური ენა: I -0,5; II-2; III-3; IV-3; V-3; **სულ-11,5**

**თამარ ჩუბინიძე-**გერმანული ენა: V-2; VI-2; VII-2;VIII-2; IX-2; X-2; XI_2; XII-2; **სულ-16**

**ქრისტინე ვაშაკიძე**-ინგლისური ენა:VI-3; VII-3; VIII-2,5; IX-2; X-2; XI-2; XII- 2; **სულ -16,5**

კათედრის თავმჯდომარემ კათედრის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისთვის.

კენჭისყრის შედეგები:

**მომხრე -4**

**წინააღმდეგი -0**

**კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:**

**პედაგოგთა საათები განაწილდეს შემდეგნაირად:**

**ნადეჟდა ბუცხრიკიძე კვირაში 3 სთ. (**რუსული ენა(არჩევითი საგანი)- X- 2; XI- 2;

**ქრისტინე ვაშაკიძე კვირაში 16, 5სთ.** (ინგლისური ენაVI -3; VII-3; VIII-2,5; IX-2; X-2; XI-2; XII-2;)

**სოფო ჭანტურიძე კვირაში 11, 5სთ.(** ინგლისური ენა I-0.5; II-2; III-3; IV-3; V-3;)

**თამარ ჩუბინიძე კვირაში 16 სთ,(** გერმანული ენა V-2; VI-2; VII-2;VIII-2; IX-2; X-2; XI_2; XII-2;)

**საკითხი N3.გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევა/განხილვა.**

**მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე თამარ ჩუბინიძე**

**მოისმინეს:** მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N 36/ნ ბრძანების დანართის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ,,შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო კონკრეტულ სკოლაში მოქმედებს არჩევიდან 5 წლის განმავლობაში". შესაბამისად სკოლა ირჩევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს მხოლოდ მე-10 კლასისთვის. 2022-2023 სასწავლო წელს შერჩეულ უნდა იქნას ახალი გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები X კლასში;

კათედრის სხდომის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, ასევე უცვლელად დარჩეს I-IX, XI-XII კლასების გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხაც და 2022-2023 სასწავლო წლისათვის სწავლება განახორციელონ იგივე გრიფირებული სახელმძღვანელოებით.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მასწავლებელს უფლება აქვს, ეროვნული სასწავლო გეგმის 25-ე მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების გარდა, სწავლებისას დამატებითი რესურსის სახით გამოიყენოს სხვა საგანმანათლებლო რესურსი და თვალსაჩინოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კათედრის სხდომაზე მასწავლებლების მიერ მოხდა დამხმარე სახელმძღვანელოების შერჩევა.

**კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:**

**2022-2023 სასწავლო წლისათვის გამოსაყენებელი გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა განისაზღვროს დანართი N2 – ის შესაბამისად.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების დრო:14: 15სთ.

**თავმჯდომარე:** **/თამარ ჩუბინიძე /**

**მდივანი:** **/ნადეჟდა ბუცხრიკიძე/**

**კათედრის წევრები:** **/ ქრისტინა ვაშაკიძე/**

**/სოფო ჭანტურიძე/**

დანართი N1

უცხოური ენების კათედრის სამუშაო გეგმა

| თვე | პრიორიტეტული თემა | აქტივობა; განსახილველი თემები | პასუხისმგებელი |
|---|---|---|---|
| სექტემბერი | | 1. კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება.<br>2.პედაგოგთა საათების საორიენტაციო განაწილება.<br>3.სასწავლო პროცესის დაწყებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება.<br>4. კათედრისთვის საჭირო რესურსის შესყიდვის მიზნით ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობა/წინადადებების წარდგენა | კათედრის თავჯდომარე<br>კათედრის წევრები |
| ოქტომბერი<br><br>(ოქტომბრიდან ივნისამდე) | | 1. ეროვნული და კერძო ოლიმპიადებისათვის მოსწავლეთა მზადების საკითხის განხილვა.<br>2. კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრების დაგეგმვა.<br>3. სტატუსის შესანარჩუნებელი გაკვეთილების დაგეგმვა /ჩატარება | კათედრის თავჯდომარე<br>კათედრის წევრები |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | 4. სამოქმედო გეგმის შუალედური, სემესტრული და წლიური მონიტორინგი, კორექტირება | |
| ნოემბერი<br><br>დეკემბერი<br><br>ნოემბერი | ჯანსაღი ცხოვრება | 1.კომპლექსური დავალება „პრეზენტაცია თემაზე ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღ ცხოვრებას “<br><br>2. კომპლექსური დავალება თემაზე „ინგლისური და ამერიკული სპორტის სახეები, რომელიც პოპულარულია საქართველოში“<br><br>3.გადაწყვეტილებათა მისაღებად/ კათედრის საჭიროებათა გამოსავლენად/ცვლილებების განსახორციელებლად პრატიკული კვლევების დაგეგმვა | თამარ ჩუბინიძე<br><br>ქრისტინე ვაშაკიძე<br><br>კათედრის თავმჯდომარე<br><br>კათედრის წევრები |
| დეკემბერი | კულტურული მრავალფეროვნება | 1.საახალწლო ღონისძიება<br><br>2.კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრების განხილვა.<br><br>3.1 სემესტრის შედეგების განხილვა.<br><br>4. რემედიაციის პროგრამის შემუშავება იმ მოსწავლეთა ჯგუფების დასახმარებლად, რომლებსაც აქვთ სწავლაში ჩამორჩენა; | უცხოური ენების კათედრის თავმჯდომარე<br><br>კათედრის წევრები<br><br>უცხოური ენების კათედრის თავმჯდომარე<br><br>კათედრის წევრები |

| | | | |
|---|---|---|---|
| იანვარი | ჯანსაღი ცხოვრება | 1.კომპლექსური დავალება „მენიუს შექმნა თემაზე<br><br>„ჯანსაღი კვება“ | თამარ ჩუბინიძე |
| თებერვალი<br><br>მარტი<br><br>აპრილი | კულტურული მრავალფეროვნება<br><br>ჯანსაღი ცხოვრება | ღონისძიება “მასლენიცა“<br><br>„ესე“ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“<br><br>პოსტერების დამზადება „ოლიმპიური თამაშების ისტორია“<br><br>პოსტერების დამზადება“ როგორ დავიცვათ ჯანსაღი ცხოვრების წესები“ | ნადეჟდა ბუცხრიკიძე<br><br>ქრისტინა ვაშაკიძე<br><br>თამარ ჩუბინიძე<br><br>ქრისტინა ვაშაკიძე |
| მაისი | ჯანსაღი ცხოვრება | პროექტი „ჯანსაღი საკვები“- ინგლისურ ,გერმანულ და რუსულ ენაზე<br><br>კედლის გაზეთი - გერმანულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე | უცხოური ენების კათედრის თავმჯდომარე<br><br>კათედრის წევრები |
| ივნისი | ჯანსაღი ცხოვრება | 1.პოსტერის დამზადება „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ | ქრისტინე ვაშაკიძე |

| | | | |
|---|---|---|---|
| იანვარი–ივნისი | | 2. II სემესტრის შეჯამება, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა.<br>3. კათედრების თავმჯდომარის ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ და რეკომენდაციები | უცხოური ენების კათედრის თავმჯდომარე<br>კათედრის წევრები |

## კათედრის მიერ არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა

| N | საგანი | სახელმძღვანელო | ავტორი(ავტორები) | გამომცემლობა | კლასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინგლისური ენა | **New Building Bloks4** | თამარ ჯაფარიძე | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | **I კლასი** |
| 2 | ინგლისური ენა | **New Building Bloks4** | თამარ ჯაფარიძე | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | **II კლასი** |
| 3 | ინგლისური ენა | **New Building Bloks 4** | თამარ ჯაფარიძე | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | **III კლასი** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | ინგლისური ენა | **New Building Bloks4** | თამარ ჯაფარიძე | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | IV კლასი |
| 5 | ინგლისური ენა | **New Building Bloks4** | თამარ ჯაფარიძე | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | V კლასი |
| 6. | ინგლისური ენა | 1.New Building Bridges | თ.ჯაფარიძე | ბაკურ სულაკაური | VI კლასი |
| 7 | ინგლისური ენა | 1.New Building Bridges 7 | თ.ჯაფარიძე | ბაკურ სულაკაური | VIIკლასი |
| 8 | ინგლისური ენა | 1.New Building Bridges 8 | თ.ჯაფარიძე | ბაკურ სულაკაური | VIII კლასი |
| 9 | ინგლისური ენა | 1.Right on | თ.ჯაფარიძე | ბაკურ სულაკაური | IX კლასი |
| 10 | ინგლისური ენა | Tune Up!2 | თ.ჯაფარიძე | ბაკურ სულაკაური | X კლასი |
| 11 | ინგლისური ენა | Gateway A3 | Malcolm Mann | **Macmillan Education** | XI კლასი |
| 12 | ინგლისური ენა | Gateway B1+ | Malcolm Mann | **Macmillan Education** | XII კლასი |
| 1. | გერმანული ენა | Wir neu A1.1 | Redaktion und Bearbeitung: Eva-Maria Jenkins-Krumm, Wien; Coleen Clement | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | V კლასი |
| 2. | გერმანული ენა | Wir neu A1.2 | Redaktion und Bearbeitung: Eva-Maria Jenkins-Krumm, Wien; | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | VI კლასი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **3.** | **გერმანული ენა** | Wir neu A2.1 | Redaktion und Bearbeitung: Eva-Maria Jenkins-Krumm, Wien; | **ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა** | **VII კლასი** |
| **4.** | **გერმანული ენა** | Wir neu A 2.2 | Redaktion und Bearbeitung: Eva-Maria Jenkins-Krumm, Wien; | **ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა** | **VIII კლასი** |
| **5.** | **გერმანული ენა** | Wir neu A 2.3 | Redaktion und Bearbeitung: Eva-Maria Jenkins-Krumm, Wien; | **ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა** | **IX კლასი** |
| **6.** | **გერმანული ენა** | Wir neu B1.1 | Redaktion und Bearbeitung: Eva-Maria Jenkins-Krumm, Wien; | **ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა** | **X კლასი** |
| **7.** | **გერმანული ენა** | Optimal B1 | Von Martin Müller, Paul Rusch und Lukas Wertenschlag | **ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა** | **XI კლასი** |
| **8** | **გერმანული ენა** | Optimal B1 | Von Martin Müller, Paul Rusch und Lukas Wertenschlag | **ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა** | **XII კლასი** |